(სსმ III, 22.02.2010 N 20 მუხ. 248)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
220.090.000.18.011.014.236

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 16/01
2010 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

განვითარებული ქვეყნების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე–6 პუნქტისა და მე–2 მუხლის 53–ე პუნქტის და „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. განისაზღვროს განვითარებული ქვეყნების ნუსხა:

ევროკავშირის ქვეყნები:

ა) ავსტრიის რესპუბლიკა;

ბ) ბელგიის სამეფო;

გ) ბულგარეთის რესპუბლიკა;

დ) კვიპროსის რესპუბლიკა;

ე) ჩეხეთის რესპუბლიკა;

ვ) დანიის სამეფო;

ზ) ესტონეთის რესპუბლიკა;

თ) ფინეთის რესპუბლიკა;

ი) საფრანგეთის რესპუბლიკა;

კ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;

ლ) საბერძნეთის რესპუბლიკა;

მ) უნგრეთის რესპუბლიკა;

ნ) ირლანდია;

ო) იტალიის რესპუბლიკა;

პ) ლატვიის რესპუბლიკა;

ჟ) ლიტვის რესპუბლიკა;

რ) ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო;

ს) მალტის რესპუბლიკა;

ტ) ნიდერლანდების სამეფო;

უ) პოლონეთის რესპუბლიკა;

ფ) პორტუგალიის რესპუბლიკა;

ქ) რუმინეთის რესპუბლიკა;

ღ) სლოვაკეთის რესპუბლიკა;

ყ) სლოვენიის რესპუბლიკა;

შ) ესპანეთის სამეფო;

ჩ) შვედეთის სამეფო;

ც) დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო (შეერთებული სამეფო).

2. ამერიკის შეერთებული შტატები

3. კანადა

4. კორეის რესპუბლიკა (სამხრეთ კორეა)

5. იაპონია

6. ჰონკონგის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციკლი რეგიონი)

7. ისრაელის სახელმწიფო

8. სინგაპურის სამეფო

9. ბაჰრეინის სამეფო

10. შვეიცარიის კონფედერაცია

11. დუბაის საამირო (არაბთა გაერთიანებული საამიროები)

12. ისლანდიის რესპუბლიკა

13. ლიხტენშტეინის სამთავრო

14. ნორვეგიის სამეფო

15. ახალი ზელანდია

16. ავსტრალიის თანამეგობრობა

მუხლი 2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონში და „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 3 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით.

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გ. ქადაგიძე